ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N05/12

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. რუსთავი 3 აპრილი 2015 წელი

ერთი მხრივ შპს „ქვემო ქართლის რეგიონალური სისხლის გადასხმის სადგური“ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ვაჭარაძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ორისი” (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდეს შპს „ქვემო ქართლის რეგიონალური სისხლის გადასხმის სადგურითვის“ ერთი ცალი საბუღალტრო პროგრამა ორისის A01ST (ერთვალუტიანი, ერთმომხმარებლიანი კალკულაციის ცხრილებით) შესყიდვა.

(CPV-48600000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 920,49(ცხრაასოცი ლარი და49 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3. მომსახურების შესაბამისობა

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესყიდვა უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშკრულების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში;

ბ) საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #12ბ, 5-ე სართული;

4.2 შემსყიველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპესქტირების განხორციელების პროცესში.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს შპს „ქვემო ქართლის რეგიონალური სისხლის გადასხმის სადგუირის“ წარმომადგენელი- გიორგი თოდუა, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 შემსყიდველის წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება-ჩაბარების მომენტისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს გადასაცეს დაუზიანებელი საქონელი (ელექტრონული გასაღები, დისკი, სახელმძღვანელო), წუნდებული საქონლის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშწორებით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგდაცილებელ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგდაცილებელ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუქტით განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგდაცილებელ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. 5 სამუშაო დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 10.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

11. სხვა პირობები

11.1 **საავტორო უფლება** კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

11.2 **სალიცენზიო უფლებები**

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, შემსყიდველს აქვს უფლება იმუშაოს ერთ კომპიუტერზე.

11.3 **უფლებების გადაცემა**

შემყიდველს შეუძლია გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თავის კომპიუტერზე წაშალოს პროგრამის ყველა ასლი.

11.4 **შეზღუდული გარანტია**

შემსყიდველის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

11.5 **გარანტიების არარსებობა**

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს შემსყიდველის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ერთი „შემსყიდველს".

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შპს „ქვემო ქართლის რეგიონალური

სისხლის გადასხმის სადგური"
ქ. რუსთავი გოგებაშვილის ქN4.
ს/ნომერი 216296318 პროკრედიტ ბანკი
ბ/ფილიალი MIBBGE22
ა/ა GE13PC0363600100003142
შპს "ქვემო ქართლის რეგიონალური სისხლის

გადასხმის სადგური"-ს დირექტორი:
თეიმურაზ ვაჭარაძე

„მიმწოდებელი"
შპს „ორისი"
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12ბ
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE88BG00000001201216
ს/კ 206033754

დ.გოთოშია